



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA

№ 01-13/07/12269

11 " 11 " 2008 წ.

საქართველოს მედიკოსთა კავშირის თავმჯდომარეს
ქეთევან გეჯაძეს

ქალბატონო ქეთევან,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული თქვენი №02/22996 5.11.08წ. საშუამდგომლო წერილის პასუხად, რომელიც ეხებოდა დევნილი მოქალაქეების -ხათუნა მაისურაძისა და ნინო მკალაფიშვილის მკურნალობის დაფინანსების საკითხს გაცნობებთ, რომ განცხადება განხილულ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2008წლის სახელმწიფო პროგრამის რეფერალური დახმარების კომპონენტის ფარგლებში ინდივიდუალური განცხადებების საფუძველზე გასაწევი სამედიცინო მომსახურების საკითხის განმხილველი კომისიის №18 სხდომაზე 2008წლის 7 ნოემბერს. განხილვის შემდეგ, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ხათუნა მაისურაძის მკურნალობის 261 ლარით (შპს „№2 მრავალპროფილიანი საავადმყოფო) და ნინო მკალაფიშვილის მკურნალობის 1378 ლარით (ღუდუშაურის სახ. ე.ს.ც.) დაფინანსების თაობაზე.

პატივისცემით,

მინისტრის აპარატის უფროსი

დ. ტაბიძე